www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფლაცია საქართველოში

2017

თებერვალი

02.03.2017

www.geostat.ge

02.03.2017

ინფლაცია საქართველოში, 2017 წლის თებერვალი

2017 წლის თებერვალში საქართველოში ინფლაციის დონემ წინა თვესთან შედარებით 1,7 პროცენტი, ხოლო წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (წლიური ინფლაციის დონე) 5,5 პროცენტი შეადგინა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი **წინა თვესთან შედარებით** ინფლაციის მაჩვენებელში.

პროცენტული ცვლილება წინა თვესთან შედარებით

	%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	1.7
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	5.1
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-1.0
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	0.2
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	1.9
ჯანმრთელობის დაცვა	2.0
ტრანსპორტი	3.5
კავშირგაბმულობა	0.2
დასვენება, გართობა და კულტურა	-0.2
განათლება	0.0
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	0.9
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	1.6
ინფლაციის დონე, სულ	**1.7**

ჯგუფების წვლილი* 2017 წლის თებერვლის ინფლაციაში (სულ 1,7%)



მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 1,7 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,51 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა შემდეგ ქვეჯგუფებზე: ბოსტნეული და ბაღჩეული (6,7 პროცენტი), ხორცი და ხორცის პროდუქტები (2,7 პროცენტი), ხილი და ყურძენი (2,5 პროცენტი), ზეთი და ცხიმი (1,8 პროცენტი), აგრეთვე ყავა, ჩაი და კაკაო (1,7 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა რძის, ყველისა და კვერცხის ქვეჯგუფზე (-0,7 პროცენტი);

ტრანსპორტი: ჯგუფში ფასები გაიზარდა 3,5 პროცენტით, შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 0,48 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების მატება დაფიქსირდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (5,0 პროცენტი), სატრანსპორტო საშუალებების შეძენაზე (0,8 პროცენტი) და სატრანსპორტო მომსახურებაზე (0,6 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 5,1 პროცენტით, რაც ინფლაციის მთლიან მაჩვენებელზე 0,34 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები გაიზარდა როგორც თამბაქოს ნაწარმზე (9,4 პროცენტი), ისე ალკოჰოლურ სასმელებზე (0,9 პროცენტი).

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია სამომხმარებლო კალათაში შემავალი საქონლისა და მომსახურების ჯგუფების ფასების პროცენტული ცვლილება და შესაბამისი წვლილი 2017 წლის **თებერვლის წლიური ინფლაციის** მთლიან მაჩვენებელში.

პროცენტული ცვლილება წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით

	%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	5.5
ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო	16.3
ტანსაცმელი და ფეხსაცმელი	-3.8
საცხოვრებელი, წყალი, ელ.ენერგია, აირი	2.3
ავეჯი, საოჯახო ნივთები, სახლის მოვლა	0.5
ჯანმრთელობის დაცვა	4.0
ტრანსპორტი	17.4
კავშირგაბმულობა	0.7
დასვენება, გართობა და კულტურა	-0.2
განათლება	1.3
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	1.8
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	2.5
ინფლაციის დონე, სულ	**5.5**

ჯგუფების წვლილი* 2017 წლის თებერვლის ინფლაციაში წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით, (სულ 5.5%)



წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე:

ტრანსპორტი: ჯგუფში ფასები გაიზარდა 17,4 პროცენტით და ჯგუფის წვლილმა ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში 2,12 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების მატება დაფიქსირდა პირადი სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციაზე (26,3 პროცენტი) და სატრანსპორტო მომსახურებაზე (2,3 პროცენტი);

მოცემულ პერიოდში ფასების 5,5 პროცენტიანი მატება დაფიქსირდა **სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების** ჯგუფზე, რაც 1,66 პროცენტული პუნქტით აისახა წლიური ინფლაციის მთლიან მაჩვენებელში. ფასები გაიზარდა შაქარზე, ჯემზე და სხვა ტკბილეულზე (14,2 პროცენტი), ხორცსა და ხორცის პროდუქტებზე (6,4 პროცენტი) და ბოსტნეულსა და ბაღჩეულზე (6,3 პროცენტი). ამასთან, ფასები შემცირდა ხილსა და ყურძენზე (-5,2 პროცენტი);

ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 16,3 პროცენტით, რაც წლიურ ინფლაციაზე 1,03 პროცენტული პუნქტით აისახა. ფასები მომატებულია თამბაქოს ნაწარმზე (35,1 პროცენტი).

* რიცხვების დამრგვალების გამო ცალკეული ჯგუფების ჯამი შესაძლოა არ უდრიდეს ინფლაციის მთლიან მაჩვენებელს.







საკონტაქტო პირი: ლევან ქარსაულიძე
ტელ: (+995 32) 236 72 10 (400)
ფაქსი: (+995 32) 236 72 13
ელ.ფოსტა: lkarsaulidze@geostat.ge